91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №4 (7127) 17 თებერვალი 2025 წელი

გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა—2025“

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც მართალია, დიდად არ გამოირჩევა თავისი ბიუჯეტით, მაგრამ საქმეს მაინც ბევრს აკეთებს.

უპირველესად, მხედველობაში რა თქმა უნდა, ის ინფრასტრუქტურული მცირემასშტაბიანი პროექტებია, რომელთა რეალობაში გაშლა ერთგვარად აუმჯობესებს სოფლის მოსახლეობის ცხოვრებას.

ამასთან, არ შეიძლება ასევე ხაზგასმით არ ვთქვათ, იმის თაობაზე, რომ ყოველწლიურად, ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის საქმეში გადაწყვეტილების მისაღებად, მოსახლეობის მეტი ჩართულობაა. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ იხვეწება ამ პროცესზე თვითმმართველობის პასუხისმგებელი პერსონების როლი, რიგითი მუშაკიდან პირველ პირებამდე დამთავრებული. შედეგიც ჩანს... არ ვიცით, სტატისტიკურად რა საბოლოო სურათი გამოიკვეთება, მაგრამ უნდა ვთქვათ, რაც ხილული და თვალნათელია—პროექტების შესარჩევ შეხვედრებზე, კონსულტაციებსა თუ კრებებზე წელს ბევრად მეტი თერჯოლელი მონაწილეობდა ვიდრე გასულ წლებში.

პროცესის ნიშანდობლივი მახასიათებელი დადებითი ნიშნით ისიც გახდა, რომ მთელ რიგ კონკრეტულ შემთხვევებში, ამ შეკრებებზე საკმაოდ პრინციპული დისკუსიებიც იმართებოდა ცალკეული პროექტების წარმომდგენ პიროვნებებსა თუ პროექტების მხარდაჭერებსა და მოწინააღმდეგეთა შორის. თუმც, ისიც ხაზგასასმელია, რომ ადრეულ წლებთან შედარებით, კარგად იგრძნობოდა, რომ ჩვენი მოსახლეობა სულ უფრო ეჩვევა ღირსეული თანაცხოვრების წესებს—თანადგომას, ურთიერთპატივისცემას, კომპრომისებს და შეთანხმებას.

ყველაფერი ეს, რაც უკვე ვთქვით კარგად გამოჩნდა მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გამართულ კრებებზე, რომლებსაც ☞2

საქართველომ კარგად ჩააბარა ზამთრის ოლიმპიური გამოცდა

ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში დასრულდა ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის მორიგი ოლიმპიური თამაშები.

საერთო აღიარებით საქართველომ, როგორც ორგანიზატორმა ქვეყანამ კარგად ჩააბარა ეს ოლიმპიური გამოცდა...

ზამთრის ოლიმპიური თამაშების შესახებ „თერჯოლის“ მომავალ ნომერში ჩვენი თხოვნით გვესაუბრება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **რევაზ რობაქიძე.**



2025 წლის პირველი ჩემპიონი—პირველი ოქრო

ახალი სპორტული წელი წარმატებებით დაიწყო!

ახალი, 2025 წელში სასტარტო პირველ თვეებში უკვე გაგვახარეს ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენებმა. პირველად ნიკა ბრეგვაძემ გვასახელა, რომელმაც 2024 წელს სამბოში საქართველოს ჩემპიონის ოქროს მედალს ამჯერად ძიუდოში აღებული ბრინჯაო მიუმატა. შემდეგ კი სამბისტების ჯერი დადგა, რომელთაგან დავით ხუჯაძე საქართველოს ჩემპიონი გახდა, მან ოქროს მედალთან ერთად, ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

ამ ჩემპიონატზე, რომელიც ქ. თბილისში გაიმართა კადეტთა შორის (2008-2011 წწ.) ჩვენი სპორტსკოლის მოჭიდავეებმა ჯამში 5 მედალი, აქედან ერთი ოქრო, სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს.

I ადგილი დავით ხუჯაძე; II ადგილი თამარ ზარნაძე; II ადგილი ქეთი ბუცხრიკიძე; II ადგილი ნათია სვანაძე; III ადგილი გიორგი ლომიტაშვილი.

გილოცავთ! მხოლოდ წარმატებები ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

„თერჯოლის“ წინა ნომერში დავიწყეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამების გამოქვეყნება, რომლებიც მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე დაამტკიცა.

დამტკიცებული 19 სოციალური პროგრამიდან, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ ათი პროგრამა, დღევანდელი გაზეთის მე-3, 6, 7 გვერდებზე კი გთავაზობთ დანარჩენ 9 პროგრამას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

5 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე -

გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თემურ ქოჩიაშვილისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, შალვა ჭანკვეტაძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 04 დეკემბრის N18 დადგენილებასა და უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 იანვრის № გ-29.292501513 განკარგულებაში ცვლილების შეტანას. დეპუტატებმა ასევე დაამტკიცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, ზვიად ბაზაძე, მერის წარმომადგენელი საკრებულოსა და დეპუტატის ბიუროში სოსო ჩაფიჩაძე და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“

წიგნის პროპაგანდის და წიგნიერების განვითარების მიზნით, თერჯოლაში წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნა. საინტერესო ღონისძიება გაიმართა თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკაში.

აქტიურ მკითხველებთან და მოსწავლეებთან ერთად, საჯარო და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა და საყვარელი ავტორის ნაწარმოებებიდან მნიშვნელოვანი ციტატები წაიკითხეს.

საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ საგანმანათლებლო ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირებიც შეუერთდნენ. მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარესა და თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად ღონისძიების მონაწილეებს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე მიულოცა და სიმბოლურად წიგნები გადასცა საჩუქრად.

ღონისძიება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.

მსოფლიოში წიგნის საჯაროდ კითხვის კვირეული, დევიზით—„იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!“ 2 თებერვალს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ამ დღესთან დაკავშირებით ღონისძიებები უკვე მე-10 წელია ეწყობა.

კვირეულის ფარგლებში ღონისძიებები მუნიციპალიტეტის სხვა დაწესებულებებშიც გაიმართა.

ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოსათვის...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მორიგი აქცია ჩატარდა. აქციის ფარგლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაიწმინდა ქალაქის ცენტრალური საავტომობილო გზის და ავტობანის მიმდებარე ლოკაციები, ასევე ყველა სასოფლო გზების მიმდებარე ტერიტორიები.

აქციაში მერის წარმომადგენლობა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეები იყვნენ ჩართული. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდა მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მერიის შესაბამისი სამსახურების ორგანიზებით, მსგავსი ტიპის დასუფთავების აქციები ინტენსიურად იმართება და მისი მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ჯანსაღ გარემოზე ზრუნვა.

გადაწყვეტილებას იღებს მოსახლეობა

1☞

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა—2025“

მოსახლეობის ხმის გასაგონად თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ყველა წინა ხაზის პირველი პირები ესწრებოდნენ.

კრებები 10 თებერალს დაიწყო და 14 თებერვალს დამთავრდა.

მათში მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლებიდან ასეულობით მოსახლემ მიიღო მონაწილეობა. ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში დასახელდა ის ინტრასტრუქტურული პროექტები, რომელთა სისტემატიზაცია დროის მოკლე პერიოდში მოხდება მერიის შესაბამის სამსახურებში და შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს კვლავ გაგრძელდება გასულ წელს დამკვიდრებული კარგი პრაქტიკა, რაც არმირებული ბეტონის საფარიანი გზების მოსაწყობად მოსახლეობისათვის საჭირო მასალების გადაცემას გულისხმობს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრების პირველ დღეს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს გოდოგნის, კვახჭირის, ჭოგნარის, ქვ. სიმონეთის და ნახშირღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობასთან.

შეხვედრებზე მოსახლეობამ დაასახელა ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელება მოხდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 690 000 ლარიდან, მათთვის განკუთვნილი თანხებიდან ამ სოფლებში უმრავლესობის გადაწყვეტილებით ეს პროექტებია:

1. გოდოგანი—ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოწესრიგება;
2. ნაგარევი—გარე განათების სისტემის მოწესრიგება;
3. ჭალასთავი—გარე განათების სისტემის მოწესრიგება;
4. ბროლისქედი—საზ.თავშეყრის ადგილის მოსაწყობად მასალების შეძენა;
5. ჭოგნარი—მინი სტადიონის მოწყობა;
6. კვახჭირი—სანიაღვრე სისტემის მოწყობა;
7. ოდილაური—სანიაღვრე სისტემის, სკვერის მოწყობა, საზ. თავშეყრის ადგილის მოსაწყობად მასალების შეძენა;
8. სარბევი—სანიაღვრე სისტემის და გარე განათების მოწყობა, სასაფლაოს შემოღობვა;
9. ნახშირღელე—მინი სტადიონის მოწყობა;
10. ნავენახევი—სანიაღვრე სისტემის და გარე განათების მოწესრიგება.
11. ქვ.სიმონეთი—მინი სტადიონის, სანიაღვრე სისტემის, წყაროს და გარე განათების მოწესრიგება;

სასოფლო კრებები, მოსახლეობის ასევე მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა 11 თებერვალს ზედა სიმონეთში, ბარდუბანში, ეწერში, სიქთარვაში, ახალთერჯოლაში და შეხვედრების მომდევნო დღეებში, ყველა სხვა სოფელში, რომელიც გასულ კვირას დასრულდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501513)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი **2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.**

3. პროგრამის ბიუჯეტი: 72 000 (**სამოცდათორმეტი** ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – არაუმეტეს 300 (სამასი) ლარი სოფელში და არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარი ქალაქში.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსახლკარო მოქალაქეების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 -ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებმაც ისარგებლეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლით (თავშესაფრით) და თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ იმყოფება საცხოვრებლის გარეშე.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საჯარო რეესტრიდან ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის.

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ;

ე) ქირავნობის ხელშეკრულება 1 წლის ვადით.

ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში, გამქირავებლის პირადობის მოწმობის ასლი და თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტრიტორიაზე არსებული გასაქირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსება.

თ) ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში თავშესაფრით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (მესამე მუხლის „ა" პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას რეკომენდაციის მომზადების მიზნით განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250154)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: სადღესასწაულო დღეების მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 20 000 (ოცი ათასი) ლარი .

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით (აღდგომა, ბარბარობა, ახალი წელი) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (70 წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი,18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები, პირველი ჯგუფის უსინათლო) საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები. (70 წელს გადაცილებული მარტოხელა, მარტოხელა მშობელი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები, პირველი ჯგუფის უსინათლო).

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით. საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

გ) კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს, რეკომენდაციის მომზადების მიზნით, მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501515)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 18000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებული დახმარება ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება (არასრულწლოვნის შემთხვევაში მშობლის).

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა.

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში.

დ) არასრულწლოვნის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი.

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

ვ) შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მაია მელუავა და მისი ლიტერატურული წარმოდგენა „ვინ დაიცავს ვარსქენს“

მაია მელუავა ნახშირღელის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

გასულ წელს, მუნიციპალიტეტის სხვა სკოლების 15 პედაგოგთან ერთად, საუკეთესო პრეზენტაციით წარსდგა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მხარდაჭერილ ღონისძიებაზე. იგი ატარებს მრავალ საინტერესო ღონისძიებას, მაგრამ მეექვსე, მეცხრე, მეათე კლასების მიერ მოწყობილი ლიტერატურული წარმოდგენა „ვინ დაიცავს ვარსქენს“ მაინც გამორჩეული იყო.

მაია მელუავას ერთადერთი კითხვით მივმართეთ: საიდან გაჩნდა იდეა მოგეწყოთ ლიტერატურული წარმოდგენა და როგორ წარიმართა იგი.

„ლიტერატურული წარმოდგენა ხალხურ საწყისებს ემყარება. მას ხშირად მიმართავდნენ ძველ ქართულ ხალხურ სანახაობებში: „ბერიკაობასა“ და „ყეენობაში“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ბერიკაობის“ დროს ეწყობოდა ბერიკების გასამართლება, რომელიც თავისი შინაარსით ინსცენირებულ სასამართლოსა და ლიტერატურული გასამართლების პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენდა.

ლიტერატურული ნაწარმოების ღრმად შესწავლა მთელი რიგი თანმიმდევრული აქტივობების დაგეგმვას მოითხოვს პედაგოგისაგან. სწორად დაგეგმილი აქტივობებით ანალიზის, კრიტიკული და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას. განსაკუთრებული სიფრთხილით ვეკიდებით ჰაგიოგრაფიული ძეგლების შესწავლას თავისი მტკიცედ ჩამოყალიბებული დოგმებითა და ქრისტიანული სიმბოლიკებით.

ასე დავიწყეთ ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის იაკობ ცურტაველის „წამებაი წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაი“ შესწავლა. მოსწავლეთა დაინტერესება დიდი იყო. ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ კლასის წინაშე დავსვი შეკითხვა: „ვინ დაიცავს ვარსქენ პიტიახშს?“ კლასს გადავხედე. თითქმის ყველა დედოფალ შუშანიკს თანაუგრძნობდა, მაგრამ მოულოდნელად ხელი აღიმართა, „მე, მასწავლებელო!“—გაისმა გოგონას ხმა. აი, სწორედ მაშინ დაიბადა იდეა მოგვეწყო ლიტერატურული წარმოდგენა გასამართლება ვარსქენ პიტიახშისა. მოსწავლეებმა სრულიად დამოუკიდებლად იმუშავეს, დაინაწილეს როლები. მხოლოდ ფორმებსა და პროცედურებზე მითანხმდებოდნენ.

მოუთმენლად ველოდებოდი მათთან ერთად დანიშნულ დღეს. „ნეტავ რას იზამენ, დაიცავენ ღირსეულად დედოფალს, რა არგუმენტებს შემომთავაზებენ ვარსქენის დასაცავად? არ მასვენებდა ეს ფიქრი“.

და აი, ქართულის კაბინეტში ლიტერატურულ წარმოდგენაზე მობრძანდნენ: თვით იაკობ ცურტაველი, დედოფალი შუშანიკ, პიტიახში ვარსქენ, ადვოკატები, ბრალმდებელი და მოსამართლე. მოსწავლეებს თავი ღირსეულად ეჭირათ, მოირგეს როლები. თავიანთი ადგილები დაიკავეს. ბრწყინავდა დედოფალი. ოდნავ სევდიანი იყო იაკობ ხუცესი. საოცარი სიჩუმე. გაისმა მწერლის მშვიდი ხმა: „მე, იაკობ ხუცესმან ულირსისა გონებისა ჩემისა, აღვწერე შუშანიკ დედოფლის მარტვილობა. მე უშუალო მოწმე ვარ სასახლის კარზე განვითარებული მოვლენებისა. მეც მტკიოდა როგორც მამას, როგორც ქართველს, ქრისტიანს დედოფლის ტკივილი, მეც დამეფლითა ხორცი და დამესია მატლი სხეულზე. სტკიოდა ჩემს სულს და ამიტომ აღვწერე ყოველივე, რათა ყოველმა ქართველმა იცოდეს: ვინ არის გმირი და ვინ მოღალატე.“

„უშჯულო ვარსქენს“ ბრალად წაუყენეს: სჯულის შეცვლა, დედოფლის წამება და მოღალატეობრივი პოზიცია. ბრალდებული თავს ნაწილობრივ სცნობდა დამნაშავედ. ყველანი მოუთმენლად ველოდით ვარსქენის დამცველის სიტყვას. „იმ პერიოდში სპარსეთი საკმაოდ ძლევამოსილი იმპერია იყო, რაც აიძულებდა ვარსქენ პიტიახშს კარგი ურთიერთობა დაეჭირა სპარსეთის შაჰთან. პიტიახში პოლიტიკოსი და მეომარია. იგი სარწმუნოებასაც პოლიტიკური თვალით უყურებს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო მას უწევს სპარსეთსა და ბიზანტიასთან პოლიტიკური კურსის ლავირება. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მეფე ვახტანგ გორგასალი სპარსეთშია და პეროზ მეფის სპას ახლავს სალაშქროდ ინდოეთის მიმართულებით. მეფემ რვა წელი პეროზ მეფის სამსახურში გაატარა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მან მის ქვეყანას უღალატა?

ვარსქენს, ქრისტიანულად შობილსა და გაზრდილს, პოლიტიკა აიძულებს აღიაროს მაზდა, მაგრამ ის მოქმედებით არ უარყოფს ქრისტიანობას. ვარსქენი ირჩევს გარეგნულად აღიაროს მაზდა და პოლიტიკურად გამოიყენოს სპარსეთის სიძლიერე. ერთი მხრივ, ქართლს ააშოროს სპარსეთთან კონფლიქტი, როგორც ეს მამამისმა არშუშამ, შუშანიკის მამამ, ბიძებმა და ბიძაშვილებმა გააკეთეს და მეორე მხრივ, მოკავშირეს იძენს ჰუნებთან მოსალოდნელ ბრძოლაში. იგი პიტიახშია, ქართლის საზღვრებზე პასუხისმგებელი, მეფის არყოფნის დროს სრულიად ქართლის ბედიღბალი მის მოქმედებაზე, პოლიტიკურ გამჭრიახობასა და უნარზეა დამოკიდებული.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ 60-70-იან წლებში შუშანიკის სიცოცხლეში მაზდეანობა მიიღო შუშანიკის ბიძაშვილმა ვაჰან მამიკონიანმაც. თუ ქრისტიანად დაბადებული და გაზრდილი პიტიახში არ იყო მყარი ქრისტიანი, რატომ იქნებოდა ის მყარი მაზდეანი? მას საპიტიახშოს კარზე, სადაც განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა, ქრისტიანული ცხოვრების წესი არ მოუშლია. კვლავ ჩვეულებრივად ფუნქციონირებს ეკლესია და ჩვეულებრივად მოღვაწეობენ სასულიერო პირები, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის, შუშანიკს ზურგს სასულიერო პირები უმაგრებენ.

რაც შეეხება „პურის ჭამის“ ცნობილ სცენას აქ ორივენი იჩენენ საოცარ სიფიცხეს. ვარსქენი აცნობიერებს მის დანაშაულს და სისხამ დილით მიდის მეუღლის სანახავად. რელიგიის კუთხით შევიწროება არცერთ ეპიზოდში არ იკვეთება. ვარსქენი არ ითხოვს შუშანიკისაგან რჯულის შეცვლას. ჯუანშერიც არაფერს ამბობს ამის თაობაზე. მისი გადმოცემით, შუშანიკი ვარსქენმა „ტანჯვასა შინა შეაგდო“. სიყვარულით მართლაც ყვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ რელიგიური და პოლიტიკური პრობლემა ჩადგა მათ შორის.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში როდესაც ვახტანგ გორგასალმა ბერძენი ცოლი შეირთო მისი პოლიტიკა გახდა ანტისპარსული. ვარსქენიც იმ პოლიტიკას აგრძელებს, რომელიც ბერძენი ქალის შერთვამდე ჰქონდა გორგასალს: კარგი პოლიტიკური ურთიერთობა სპარსეთთანაც და ერთმორწმუნე ბიზანტიასთანაც. სწორედ ამიტომ არ ეძალება ვარსქენი შუშანიკს სარწმუნოების შეცვლას და ამიტომ მოითხოვს დაჟინებით სახლში დაბრუნდეს, რომ სახლში ქრისტიანი ცოლი ესვას, რაც მის ორმაგ პოზიციას შეესატყვისება. პიტიახშის შინაგან ქრისტიანულ სულისკვეთებას ადასტურებს ბოლნისის სიონის ჩრდილო ნავში აფსიდიდან მესამე სვეტზე რელიეფური ბოლნური ჯვრის თავზე გამოქანდაკებული წარწერის „ესე ჯივნნი“(14,45) ივ. ჯავახიშვილისეული წაკითხვა „ესე ჯოვარი ვარსქენ ნაჰაპეტისაი“.

შეუვალი იყო შუშანიკ დედოფალი:—„ შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი, მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდ თვუისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ, მან ღმერთი ცათაი და ქუეყანისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყვანი-ეც“.

საუკეთესო გამოდგა დედოფლის დამცველიც—„6 წელი გამოკეტა ვარსქენმა საპყრობილეში, მაგრამ რაც უფრო ბევრს ტანჯავდა, იმ ხალხის რაოდენობა ვინც შუშანიკის მიმართ ერთგულებას იჩენდა, მით უფრო იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნდა არანაირი მატერიალური ღირებულება, ხალხი მაინც დიდ პატივს სცემდა მას, ისევ დედოფლად აღიარებდნენ. შუშანიკის ასეთმა დიადმა ნაბიჯმა, გამოიწვია სიკეთის გაძლიერება. ნელ-ნელა ჩაიხშო ბოროტება. აღარ ეშინოდა ხალხს ვარსქენის, ამიტომაც არის შუშანიკი ღირსეული, დიადი ადამიანი. პირველი იყო, რომელმაც მის გარემოცვაში გადადგა ასეთი მტკიცე ნაბიჯი, დიდებულად გართვა ყველა დაბრკოლებას თავი, გააძლიერა სიკეთე და სიყვარული ადამიანებში“.

სიტყვა ბრალდებულ პიტიახშსაც მიეცა, რომელიც ნაწილობრივ ცნობდა თავს დამნაშავედ და შენდობას ითხოვდა. ულმობელნი იყვნენ მსაჯულებიც ვარსქენ პიტიახშის მიმართ.

* * *

საბოლოო განაჩენი ქართლის პიტიახშს ვარსქენს ისტორიამ გამოუტანა: ქვეყნისა და ისტორიულმა სამართალმა მოძალადე ქმარი სიკვდილით დასაჯა. მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძანებით ვარსქენს თავი მოკვეთეს.

„როლებს“ ასრულებდნენ:

იაკობ ხუცესი—გიორგი გიორგაძე;

დედოფალი შუშანიკ—ანამარია ნიკოლაძე;

ვარსქენ პიტიახში—მახარე აბრამიშვილი;

ვარსქენის დამცველი—ნინი კუტივაძე;

შუშანიკის დამცველი—ნათია ცინაძე;

მოსამართლე—ნანუკა ფორჩხიძე;

მსაჯულები—მარი ბარდაველიძე და ლიკა ფანჩულიძე.

ვინ არის მაია მელუავა

ქალბატონი მაია მელუავა პედაგოგთა იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომლებსაც მშვიდად, ყოველგვარი აფიშირების გარეშე უყვართ იმ დიდი საქმის კეთება, რომელსაც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება აკისრებთ. 1989 წლიდან აქტიურადაა ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში. მან წარმატებით განვლო პედაგოგად ჩამოყალიბების გრძელი და საპასუხისმგებლო გზა, ჩააბარა მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდები (I-VI კლ. და VII-XII კლ.) გახდა ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი პედაგოგი.

მაია მასწავლებლის გაკვეთილები, ისევე როგორც მის მიერ ჩატარებული არაერთი ღონისძიება, განსაკუთრებულად ამახსოვრდება მოსწავლეებს, უამრავი რესურსის, სტრატეგიის შეთავაზება შეუძლია მოსწავლეთათვის. ეფექტურობით იყენებს პოსტერებს, სქემებს, ვიდეო და აუდიო მასალებს, საკუთარი ძალებით შექმნილ რესურსებს, არასოდეს გახვევს თავს საკუთარ მოსაზრებებს, მაგრამ საინტერესო აქტივობებით მიჰყავხარ საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებამდე.

მაია მასწავლებელი საინტერესო აქტივობების დანერგვით ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში ცდილობს დაინახოს მოსწავლეთა პროგრესი, სწორად წარმართოს სწავლის პროცესი. გაკვეთილებზე იყენებს ინოვაციურ მეთოდებს, მის გაკვეთილებზე სწავლა სახალისოა. მოსწავლეები აანალიზებენ, მსჯელობენ, აღმოაჩენენ და გრძნობენ, რომ ისინი წარმმართველნი არიან და მათი შესაძლებლობები ამოუწურავია. მოსწავლეთა ჩართულობით შექმნა მან საინტერესო სასწავლო რესურსი „12 რატომ“, რომელსაც მრავალმხრივი გამოყენების პერსპექტივა აქვს.

აქტიურად მონაწილეობს პედაგოგთა რაიონულ კონფერენციებში, მინი-კონფერენციებში, საიუბილეო ღონისძიებებში. მან კონფერენციებზე არაერთხელ წარადგინა საინტერესო თემები: „არის მკითხველი მშვენიერ წიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი“, „ალო, ავტორი გისმენთ“, „ყველანი ზურგით დაფისაკენ!“ ანუ დავუბრუნოთ მუზეუმებს საგანმანათლებლო ფუნქცია. აღნიშნული მასალებით ავტორი გამოყოფს კარგი მკითხველის ჩამოყალიბების საქმეში მასწავლებლისა და მშობლის როლს, ყურადღებას ამახვილებს მუზეუმების საგანმანათლებლო ფუნქციაზე, იმ დიდ მისიაზე, რომელიც მუზეუმებს, მემორიალურ ნივთებს შეუძლიათ შეასრულონ მოსწავლეთა ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების საქმეში.

ქალბატონი მაია აქტიურად მონაწილეობდა დაწყებითი განათლების პროექტ G-PRIED-ში, მის მიერ დაგეგმილი და გამოყენებული აქტივობა-„ავტორი სტუმრად გაკვეთილზე“, საინტერესო საგანმანათლებლო რესურსად ითვლება.

იგი აქტიურად თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი სწავლების მეთოდიკის კათედრასთან, უზიარებს მათ გამოცდილებას. უნივერსიტეტის დაწყებითი სწავლების მეთოდიკათა კათედრის ასოცირებულ პროფესორ ჯამბუ ავალიანთან ერთად შექმნილი სტატია“ ლირიკული ნაწარმოების სწავლების ფსიქოლოგიურ-მეთოდიკური ასპექტები“ გამოქვეყნდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში „მაცნე“ (N21. თბ. 2022. გვ. 85). ამით მან მნიშვნელოვანი გამოცდილება გაუზიარა კოლეგებს.

ის ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოხატვაში, ხელმძღვანელობდა მოსწავლეთა თეატრს. მან სასკოლო თემსა და საბავშვო ბაღებს შესთავაზა საინტერესო სპექტაკლი. წლებია აქტიურად თანამშრომლობს თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან. მისი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ ლიტერატურულ და ქართული კალიგრაფიის კონკურსებში. აქტიურად იღწვის პროფესიულ განვითარებაზე, მონაწილეობს დაგეგმილ ტრენინგებში. მასწავლებელი სკოლის მიღმა წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა შშმ ბავშვებისა და მშობლების დასახმარებლად შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციაში „ჩვენ ვხედავთ“.

* * *

თუ როგორ იცნობს, როგორ ხედავს იგი მასწავლებლის დანიშნულებას, როგორ ცდილობს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა მიმართულებით აქტიურად იმუშაოს, ამ ერთი ღონისძიებითაც შეიძლება შეფასდეს.

ჟუჟუნა ცხადაძე

ოჯახი, სადაც ბედნიერება და სიყვარულია

ამაშუკელების ფესვები ხარაგაულში, სოფელ ამაშუკეთშია. ბესუკი, ერმინე, საუკუნეების წინ ჩამოსახლებულან სიქთარვაში, ვასილი, კოტე, დავითი აქ დაბადებულან. სახლში, რომელშიც მეექვსე თაობა კონსტანტინე (კოტე) ამაშუკელი არის დაბადებული 1870 წელს არის აშენებული. სახლი წაბლის ხისაა, ფიგურებ-რიკულებიანი, საამო სანახავია ძველებური, თაობათა ლხინის, ზოგჯერ ჭირის მომსწრე სახლი. კოტე ამბობს, რომ სახლს რესტავრაციას ჩაუტარებს და ეს მანამდე მოხდება, ვიდრე მამის—დავითის აშენებულ სახლს—რემონტ-მიშენებას ჩაუტარებდეს.

არ არის ბევრი ეს გვარი. ამაშუკელები სოფელ ამაშუკეთში მთელი საქართველოდან 8-10 წელიწადში, უფრო ხშირადაც საჭიროების დროს, ერთად იკრიბებიან, შემომატებული ოჯახის წევრების, ან სხვა ცვლილებების გაგების მიზნით, რაც ამ წლებში მოხდება მათ ცხოვრებაში. რამდენჯერმე ამ შეკრებაზე ცნობილი პოეტი რეზო ამაშუკელიც ყოფილა. მასზე საუბარი სიამოვნებს კოტეს და ამაყობს კიდეც. მე კი „დაბოღმილი“, რომ გვარში დიდი კაცი არ გვყავს, ვეუბნები—შენ ვის გავხარ თქვა—და იმ ხასიათზე დავაყენებ ხოლმე, დაკვლა უნდა ჩემი. თქვენც ხომ გყავდათ სუფრის სამართლის ავტორი, თბილისის მთავარი პროკურორი და საქართველოში განთქმული თამადა—ანაპოტისტეო, „მამხნევებს“ ზოგჯერ. კი მიყვარს თამადები, მაგრამ პოეტი გვარში მაინც სხვაა.

მომავალი მეუღლე კოტე ამაშუკელს სიქთარვის საშუალო სკოლაში დროებით ფიზიკის მასწავლებლად მომუშავე, ქუთაისელი მარინა ასათიანი, ამავე სკოლის ფიზ-აღზრდის მასწავლებელმა ვახტანგ კახიძემ გააცნო, სიქთარვის მარანთან, ავტობუსის მოლოდინის დროს. ვახტანგმა ურჩია და „უმაჭანკლა“ ახალგაზრდებს და ამასობაში დარჩენია ავტობუსში ახალთ-ახალი შარვალი და წლების განმავლობაში ამადლიდა კოტეს ამ დანაკარგს.

1984 წლის ახალწლის ღამეს დაქორწინდნენ მარინა და კოტე, სიქთარვაში დაიდეს ბინა, მუშაობდნენ, კოტე, როგორც ინჟინერი, მარინა, როგორც მასწავლებელი, მერე გაჩნდნენ შვილები: დავითი და ლორეტა, ორივემ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, ახლა თბილისში ცხოვრობენ, მუშაობენ, აქვთ ოჯახები. დავითი და მისი მშვენიერი მეუღლე ქეთი კონსტანტინეს, ანას, ელენეს, ლორეტა და ვანო დავითს, მარიამს, გიორგის ზრდიან. კოტეს და მარინას ექვსი შვილიშვილი, რომლებიც 14-2 წლისანები არიან, მათი სიამაყეა. უფროსები ამბობენ, რომ ბებია, „სტროგია“-ო. ბაბუა ყოველთვის შვილიშვილთა მხარეზეა, მათაც ლმობიერად მიაჩნიათ. „დაგიმსგავსა შვილიშვილებმა ჭკუითო“, ხუმრობს მარინა.

პედაგოგების ოჯახში გაიზარდა კოტე. უყვარდათ და პატივს სცემდნენ სოფელში დავით და ლინეტა მასწავლებლებს. მათ ორი შვილი აღზარდეს, ბიჭებმა არ აირჩიეს მამის

პროფესია, მაგრამ რაც აირჩიეს იქ იყვნენ და არიან წარმატებულები, გულსა და სულს დებდნენ საქმეში.

კონსტანტინე ამაშუკელი 2017-2022 წლებში მაჟორიტარ დეპუტატად იყო არჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქართული ოცნების მხარდამჭერი იყო და არის. ყოველთვის სჩვეოდა იმ ადამიანების დახმარება, ვისაც ძალიან სჭირდებოდა, მაგრამ განსაკუთრებულ ძალისხმევას მაჟორიტარობის პერიოდში მიმართავდა, რადგან მეტი შანსები ჰქონდა, როგორც ხელისუფლების რჩეულს და მხარდაჭერილს. მრავალი პროექტი განხორციელდა ამ წლებში, მაგრამ ხელშესახებად წყალსადენის მშენებლობა მიაჩნია, აყენებდა საქმიან წინადადებებს და

მხარდაჭერა ჰქონდა მერიიდან, საკრებულოდან, პარლამენტის მაშინდელი დეპუტატისგან და ხელმძღვანელი მუშაკებისგან.

ამჟამად კოტე ჯეოექსპერტად მუშაობს, ჰიდრონაგებობებზე სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა ობიექტებზე, მარინა პენსიაზეა, თვალი მუდმივად გზისკენ აქვს, როდის ჩამოვლენ შვილები და შვილიშვილები, რაც ხშირად ხდება და ეს ახარებთ.

ფიქრები ახალ ვენახებზე...

ვენახები ძველადაც ჰქონდათ, გზის პირას ცხოვრობენ ამაშუკელები და იქვეა ვენახებიც. კოტეს ბაბუა კოტე თერჯოლიდან ფეხით მომავალ ბავშვებს დაგვიკრიფავდა ხოლმე, ახლა ძველის ნაცვლად ახალი ვენახია გაშენებული და ეს კოტე უმცროსის დამსახურებაა. როდესაც ქვეყანაში მიწის რეფორმა ჩატარდა, როგორც ყველამ, ამ ოჯახმაც მიიღო მიწა, ცოტა მოშორებით, ვენახი ამორტიზირებული ყოფილა, რამდენიმე წელი იღებდა მცირე მოსავალს და 5 თუ 6 წლის წინ კოტემ ახალი ვენახი გააშენა—4000 ძირი ციცქა-ცოლიკაური და ოცხანური. ვენახები კარგად აქვს მოვლილი, მოსავალსაც უხვს იღებს, წელს 6 ტონა ყურძენი მოიწია და ყველა დაწურა. ამ პროცესებისა და მისი შენახვისათვის სათანადო პირობები შეიქმნა, რაშიც დიდი წვლილი აქვს კოტეს უმცროს შვილს დავითს, რომელიც კავშირგაბმულობის სისტემაში მუშაობს, მაგრამ ყოველთვის ნახულობს დროს სოფლისათვის. მისმა საგრანტო პროექტმა გაიმარჯვა და 35000 ლარი დაფინანსებაც მიიღო.

ამ და საკუთარი თანხებით შეიძინა ღვინის შესანახი სამაცივრო დანადგარები, ყველა საჭირო მოწყობილობა და ჭურებში დადუღების მერედაც დაცულია ყველა საჭირო ტექნოლოგიური პროცესი. აქვს ღვინის გასაღების ბაზარი, ჯერჯერობით საქართველოში.

კოტე ამბობს, რომ მის საკუთრებაშია კიდევ 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც ძალიან მალე ახალ ვენახს გააშენებს, ისევ ტრადიციულ ჯიშებს. ამ ვენახებს სრულმსხმოიარობაში შესვლის მერე კი, მოუწევს ზრუნვა გასასაღებ ბაზარზე.

ამაშუკელები იცავენ ოჯახურ ტრადიციებს, ყოველი საერო თუ საეკლესიო დღეები აქ უხვი სუფრით, სტუმრიანობით და ოჯახის წევრთა ერთად ყოფნით აღინიშნება, შენარჩუნებულია ღორის დაკვლის და ძველით ახალი წლის რიტუალები, მეფეხეობა და გვიან ღამემდე ელოდებიან მეალილოებს...

შვილების, შვილიშვილების დაბადება თოფის გასროლით აღუნიშნავს კოტეს, ძველით ახალწელსაც ასე შეხვდა...

ბედნიერება სუფევს კოტე ამაშუკელის ოჯახში. გაგრძელებულიყოს ეს ბედნიერება და ძალიან დიდხანს...

ჟუჟუნა ცხადაძე

გაიცანით მომავლის ყმაწვილი

ეს დაჩი საყვარელიძეა, რომელიც ჯერ მხოლოდ 8 წლისაა და ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მესამე (ბ) კლასის მოსწავლეა. როგორ ართმევს თავს დაჩი მესამეკლასელთა არც თუ ისე მარტივ საპროგრამო მასალის სათანადო ხარისხით შესწავლას, ამაზე ქვემოთ სკოლის მასწავლებელს მაია აბულაძეს ვთხოვთ კომენტარს, მისი სხვადასხვა აქტივობებისა და უნარების თაობაზე კი, რომელიც საკუთარი თვალით გვინახავს, ჩვენი შეხედულებაც გაგვაჩნია.

დაჩი საყვარელიძე რომ ამ მოკრძალებული ნარკვევის გმირი ყოფილიყო განაპირობა სხვადასხვა სასწავლო კონკურსებსა და პროექტებში მისმა წარმატებულმა მონაწილეობამ და თითქმის ყველა შემთხვევაში საუკეთესო შედეგების მიღწევამ. ანუ დაჩი რამდენი წლისაცაა, იმაზე გაცილებით მეტი წამახალისებელი დიპლომი, ჯილდო თუ სიგელი აქვს უკვე მიღებული გამარჯვების ნიშნად და ეს ყველაფერი ხდება 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო წლების განმავლობაში, ანუ მეორე და მესამე კლასში სწავლის დროს, როცა უკვე უფლება ჰქონდა აღნიშნულ კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობისა. თუმცა, მესამე კლასის მეორე სემესტრი ხომ ჯერ კიდევ წინაა...

დაჩი მეორე კლასში იყო, როცა წლის ისეთ ყველაზე მასშტაბურ სასკოლო ოლიმპიადებში ჩაერთო, როგორიცაა „კინგსი“, „კენგურუ“, „ევერესტი“. ისე მოხდა, რომ დაჩიმ იმთავითვე დადო თვალსაჩინო შედეგი: იგია „ევერესტისა“ და „კინგსის“ შემოდგომისა და გაზაფხულის ოქროს ტურების გამარჯვებული ქართულსა და მათემატიკაში, ასევე „კენგურუს“ მათემატიკური ოლიმპიადის ფინალში გამარჯვებულის ოქროს დიპლომის მფლობელი.

დაჩი საყვარელიძე „ევერესტის“ ოლიმპიადის გაზაფხულის

სეზონის შედეგებით საქართველოს მასშტაბით საუკეთესო ასეულში მოხვდა.

მიმდინარე სასწავლო წელს დაჩიმ სტივ ჯობსის ამერიკული აკადემიის საგრანტო კონკურსშიც გაიმარჯვა და 100%-იანი გრანტი მოიპოვა და ამჟამად აღნიშნულ აკადემიაში სწავლობს უფასოდ.

დაჩიმ მათემატიკის საშემოდგომო სეზონის პირველი ხარისხის დიპლომი და ინგლისურის მესამე ხარისხის დიპლომიც მიიღო. სამივე საგნის ქართულის, მათემატიკისა და ინგლისურის მე-2 კლასიდან მე-12-ეს ჩათვლით 7860 მონაწილე მოსწავლეს შორის რეიტინგით მე-20 ადგილიც ძალიან კარგი მიღწევაა.

მიუხედავად იმისა, ყველა სეზონის ყველა მიღწევა სათითაოდ ვერ ჩამოვთვალე, ვფიქრობ საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ რა სიმაღლეებს მისწვდება დაჩი შემდეგ წლებში.

დიახ, ნამდვილად, მომავალი წინაა, ეს მხოლოდ დასაწყისია.

დაჩის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მასწავლებელს და დამრიგებელს მაია აბულაძეს, მისი შეფასება ასეთია: „პირველი კლასის მე-2 სემესტრის დასაწყისში ახალმა მოსწავლემ შემოაღო საკლასო ოთახის კარები. პატარა, საყვარელი, თმაქუჩქუჩა, თვალებციმციმა ბიჭი იდგა კარებში, დედასთან ერთად, დაჩი საყვარელიძე ვარო, გამეცნო.

დაჩი მხიარული, მოსიყვარულე, ნიჭიერი, ძალზე ინტერესიანი, ცნობისმოყვარე, შრომისმოყვარე, აქტიური ბიჭია. ყველა ეს თვისება ეხმარება მას, რომ იყოს წარმატებული ყველა სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებში. მას წინ უამრავი წარმატება ელოდება...

დაჩი არაერთხელ გვინახავს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სცენაზე: დოლზე საუკეთესოდ რომ უკრავს, გვინახავს თითქმის 5 წლის ასაკიდან სხვადასხვა პატარა სპექტაკლებში როლებით და საუკეთესო შესრულებით.

სწავლასთან ერთად დიდ დროს უთმობს მუსიკას და ცეკვას.

არაერთი დიპლომი აქვს დოლის, ცეკვის, თექა-გობელენის ასევე კალიგრაფიის კონკურსებიდან...

და ეს ყველაფერი არ არის, როგორი პიროვნებაა დაჩი ეს ყველაზე კარგად დედამ, თამარ მაკარიძემ იცის: „მთხოვეს, გავიგეთ დაჩი წარმატებული ბიჭია და მისი მიღწევები ჩამოგვიწერეო. ყველაზე მთავარი არ დამიწერია...

უზომოდ თბილი და მოსიყვარულეა, ძალიან დიდი სიყვარული შეუძლია... ძალიან ბავშვურია... უბოროტოა... არც ვინმეს ჯიბრი და არც მეტოქეობა არ ახასიათებს.

არაა ამბიციური და ძალიან თავმდაბალია... საოცრად გულჩვილია.

ჩემგან სრულიად განსხვავებულია და არ ვიცი, რით დავიმსახურე მისი თავი.

ფურცელზე დაწერილი არც ერთი მისი მიღწევა არაა მის ამ თვისებებზე ღირებული...“

ასეთია ამ პატარა ნარკვევის „მომავლის ყმაწვილის“ 8 წლის გმირის ისტორია, რომელიც ცელქობს კიდევაც, თანატოლებთან თამაშობს, უყვარს მეგობრები და არაფერს განსაკუთრებულს არ ხედავს თავის თავში.

არ ვიცი ვისი დამსახურებაა დაჩის სადღეისო წარმატებები თუ პიროვნული თვისებები, მშობლების: თამარ მაკარიძისა და რევაზ საყვარელიძის თუ ბებიის, ქეთევან შეყრილაძის, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ მან დაიმსახურა დაჩის თავი. იქნებ ამიტომაც, დაჩი და მისი დაიკო ნიცა, არაერთხელ გამხდარან ბებოს ლექსების მუზა...

მზია ცქიფურიშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501516)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 14000 (თოთხმეტიათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს და თანადგომა გამოხატოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახები.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 1000 ლარით წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის (დედა/მამა, მეუღლე) პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) საჭიროების შემთხვევაში ქორწინების მოწმობის ასლი ან და დაბადების მოწმობის ასლი.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

დ) ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501518)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 200 (ორასი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტების შეძენის მიზნით მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100 /ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი და განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ე) შეზღუდული ქმედუნარიანი პირის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 5. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501517)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი: 100 000 (ასი ათასი) ლარი.**

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ფინანსური ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501519)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება**: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2025 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი**: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 3 000 (სამი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება (რომელსაც არ ჰყავს ან არ იძებნება პირდაპირი მემკვიდრე დედა, მამა, და/ძმა, მეუღლე, **ბაბუა, ბებია, შვილი/ გერი, შვილიშვილი)**

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე კატეგორია:

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯის გამღებ მოქალაქეს.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

1. ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) დაკრძალვის ხარჯის გამღების წერილობითი განცხადება.

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული რეკომენდაცია გარდაცვლილის უპატრონობის შესახებ.

დ) გარდაცვალების მოწმობა ან ოქმი გარდაცვალების შესახებ.

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

მუხლი 5. დაკრძალვის თანხის ოდენობა:

1. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა განისაზღვროს 700 ლარის ოდენობით.

☞7

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

6 ☞ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2025 წლის პროგრამა

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

3. გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501511)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის / ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან / და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2025 წლის 15 იანვარი —2025 წლის 31 დეკემბრამდე;

3. პროგრამის ბიუჯეტი: 25 000 (ათი ათასი) ლარი;

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი;

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია;

მუხლი 2. პროგრამის ღონისძიებები:

პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, მედიკამენტის, სამ წლამდე ბავშვთა კვების პროდუქტების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი / ბავშვები;

დ) ობოლი ბავშვები;

ე) ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები;

მუხლი 4. დაფინანსება:

ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი / ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი:

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან / და საჭიროებების შეფასების-(სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას;

3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს;

მუხლი 6 . დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის / ბავშვების დაბადების მოწმობა / მოწმობები

ბ) მშობლის / ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გ) მშობლის / მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანმა ოჯახებმა, მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია / აბილიტაციის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501512)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამა ითვალისწინებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები 2-დან 7 წლამდე ICD10 პროგრამის ვალიდური დიაგნოზის მქონე ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას, რომლებიც რეაბილიტაციას გაივლიან შესაბამის დაწესებულებაში, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი შემადგენლობით: ქცევითი თერაპევტი, რომელიც არის ბავშვის ემოციურ – ქცევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე და გავლილი აქვს ქცევის გამოყენებითი ანალიზის საერთაშორისო ან / და ადგილობრივი ბაზისური თეორიული კურსი 40 საათის ხანგრძლივობით დადასტურებული სერტიფიკატით ან / და შესაბამისი დოკუმენტით და აქვს ქცევითი თერაპიის დამოუკიდებლად ჩატარების სულ მცირე, 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება და მეტყველების თერაპევტი.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2025 წლის15 იანვარი— 2025 წლის 31 დეკემბრამდე;

3. პროგრამის ბიუჯეტი: 25 000 (ათი ათასი) ლარი;

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი;

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია;

მუხლი 2.

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 120 000 ის ჩათვლით) ბავშვთა (2-7 წლამდე) ადრეული განვითარების ხელშეწყობა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სოციალური მუშაკის სკრინინგის ფორმის ან / და ბავშვისა და ოჯახის შეფასების და დასკვნის მიხედვით პროგრამით ისარგებლებენ:

1.1. განვითარების ზოგადი აშლილობა (F84.0-F84.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი;

ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი;

გ) F84.2 რეტის სინდრომი;

დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა;

ე) F84.5 ასპერგერის სინდრომი;

ვ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი;

ზ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

2.2. სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა (F78.0-F78.9) ჯგუფის შემდეგი დიაგნოზები:

ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია;

ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას;

გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი;

მუხლი 3.

პროგრამით სარგებლობისათვის ბენეფიციარის კანონიერმა წარმომადგენელმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) ბენეფიციარის პირადობის ან / და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100 / ა), რომელშიც მითითებული იქნება პროგრამისთვის ვალიდური დიაგნოზები ICD10-ს და გაცემულია პროგრამის განმახორციელებელთან წარდგენამდე არაუმეტეს 2 თვით ადრე და მასში მითითებულია პირის ძირითადი დიაგნოზი;

ე) დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, „ADOS–2“ აუტიზმის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგი, „ADOS“ ტესტირების შედეგი.

მუხლი 4.

1. დაფინანსება განისაზღვრება პროგრამაში ჩართული ბენეფიციარის თვეში მიღებული მომსახურების (სარეაბილიტაციო კურსი – 10 საათი) თანხის არაუმეტეს 220 ლარისა, ან ფაქტობრივი მომსახურების შესაბამისად ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

2. თვეში 10 საათის სარეაბილიტაციო კურსის განსაზღვრის შემთხვევაში სეანსების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 7 ვიზიტს.

მუხლი 5.

ბენეფიციარი არასაპატიო მიზეზით მინიმალურზე ნაკლები რაოდენობის სეანსების მიღების შემთხვევაში იღებს მომსახურების შეწყვეტაზე წერილობით გაფრთხილებას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში, სერვისის მიმწოდებლის მიერ შეუწყდება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. გამომდინარე აქედან, ჩატარებული სეანსების ანაზღაურება მოხდება სერვისის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის შესაბამისად.

5. პროგრამით სარგებლობის დროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ბენეფიციარზე სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას, რომლის გამოყენების ვადა განისაზღვრება გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

6. დაფინანსების გადარიცხვისთვის მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაო უნდა წარმოადგინოს რეაბილიტაცია / აბილიტაციის კურსის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლალი ჩაფიჩაძეს ძმიშვილის

ამირან ჩაფიჩაძის

გარდაცვალების გამო.

ლამაზად დანახული სამყარო





მარიამ ყიფიანის და ბარბარე მარუაშვილის პერსონალური გამოფენა

ასეთი აფიშა გაჩნდა თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის შენობისა და ფეისბუქის კედლებზე მიმდინარე წლის პირველი თვის ბოლო დღეებში. ლამაზი ხელწერით შესრულებული აფიშა-განცხადება ერთდროულად სასიხარულოც იყო, საინტერესოც და ჩემი აზრით, თამამი განაცხადიც. თუმცა სამხატვრო სკოლის შემოქმედი და პასუხისმგებლიანი დირექტორი ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი აღმზრდელ-მასწავლებლებთან ერთად, პატივს სცემს და ითვალისწინებს რა დამთვალიერებელთა ინტერესსა და გემოვნებას, ყოველ ვერნისაჟზე, მაღალ დონეზე შესრულებული მოსწავლეთა ნამუშევრებით ნამდვილად „ანებივრებს“ დამთვალიერებლებს.

ასე რომ ინტერესი და მოლოდინი მარიამ ყიფიანისა და ბარბარე მარუაშვილის პერსონალური გამოფენის მიმართ ნამდვილად იყო და ეს დღეც დადგა.

სამხატვრო სკოლაში იკრიბებიან ორი გამორჩეულად ნიჭიერი და შრომისმოყვარე, ლამაზი გოგონას ახლობლები, თანაკლასელები, სკოლების ხელმძღვანელები, გულშემატკივრები და არა მხოლოდ ისინი, აქ არიან საზოგადოების, მერიისა და საკრებულოს, ასევე საჯარო სამსახურის სხვა წარმომადგენლები, ყველა ისინი, ვინც ინტერესით თვალს ადევნებს და სისტემატიურად ელოდება სამხატვრო სკოლაში მიმდინარე პროცესებს, გამოფენებს თუ სხვადასხვა აქტივობებს.

საგამოფენო დარბაზში არაჩვეულებრივი სილამაზე გვხვდება. „მზეკაბანის“ მეექვსეკლასელ მარიამისა და ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელ ბარბარეს ნახატებს სრულად შეუვსიათ საგამოფენო სივრცე. ცენტრიდან ორად გაყოფილი კედლები ერთ მხარეს მარიამის, მეორე მხარეს კი ბარბარეს ნამუშევრებს უკავია და დასათვალიერებლად გვიზიდავს.

სრულიად განსხვავებული ხედვის, სტილის, ხელწერის, გემოვნების, შინაგანი სულიერი სამყაროს მქონე, ამავე დროს ნიჭიერი და შრომისმოყვარე ორი შემოქმედი, ლოყებშეფარკლულნი დარბაზში არიან და ინტერესით აკვირდებიან დამთვალიერებელთა რეაქციას, ბუნებრივია, ღელავენ...

თამარ ღარიბაშვილი: მოგესალმებით ყველას და მადლობა იმისათვის, რომ პოულობთ დროს, ნახოთ, როგორ იზრდებიან გამოფენიდან გამოფენამდე „ნორჩი მხატვრები“ და ჩვენთან ერთად გაიზიაროთ სიხარული, რომელიც ყოველ ასეთ დღეებს მოაქვს ხოლმე...

პირველ რიგში მადლობა დღევანდელი დღის შემოქმედთ. ესენი არიან მარიამი და ბარბარე, ორი არაჩვეულებრივი გოგონა, ორი მხატვარი... დიახ, ასე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უკვე მხატვრები არიან, მათ გააჩნიათ თავიანთი სულიერი სამყარო, აღქმისა და შემოქმედების უნარი. ეს ყველაფერი, რაც აქ არის წარმოდგენილი, მათ შექმნეს დამოუკიდებლად თავიანთი შინაგანი მოთხოვნილებით. როგორც ხედავთ ჩვენ დღეს განსაკუთრებული დღე გვაქვს. ნიჭიერების კიდევ ერთი განცხადების მნიშვნელოვანი დღე. როცა წლების შემდეგ ეს გოგონები განვლილ გზას გადახედავენ და დაფიქრდებიან, რომელი დღე იყო მათ ცხოვრებაში განსაკუთრებით საუკეთესო, გამორჩეული და ღირსახსოვარი, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ორივე მათგანი დღევანდელ დღეს გაიხსენებს...

ბარბარეს დიდი ხანია ვიცნობთ თავისი არაჩვეულებრივი აკადემიური ნახატებით, რომელიც კარგად აღიქვამს სამყაროს და შესრულების საუკეთესო სტილიც გააჩნია, ყოველთვის მონაწილეობს გამოფენებში. მარუაშვილებს მგონი გენეტიკური ნიჭი აქვთ, რომელსაც ყოველთვის თამამად ამჟღავნებენ თავიანთ ნამუშევრებში. ბარბარე ძალიან შრომისმოყვარეა, რასაც ეს გამოფენაც ადასტურებს. მას ხელოვნების გზაზე უკვე გარკვეული ნაბიჯები აქვს გადადგმული, მისგან მხოლოდ და მხოლოდ წარმატებულ მომავალს ველოდებით.

მარიამი ორი წელია, რაც ჩვენს სკოლაში მოვიდა, მისმა ძმებმა ვახტანგ და ნიკოლოზ ყიფიანებმა კი გასულ წელს დაამთავრეს ჩვენი სკოლა. ორივენი დღეს სტუდენტია, ძალიან ნიჭიერი და საუკეთესო ახალგაზრდები არიან. მახსოვს, ერთხელ გზაზე ხატავდნენ ჩვენი ბავშვები. ვათვალიერებ და ვხედავ ყიფიანებს ტაძარი დაუხატავთ, ეს ისეთი შთამბეჭდავი და საუკეთესო შესრულება იყო, ჩემდა უნებურად, პირჯვარი გადავიწერე. მართალია, უმაღლესში სწავლა სხვა მიმართულებით გააგრძელეს, მაგრამ ხატვასთან ზიარება მათ სამომავლო გზას, უთუოდ, სხვა ხიბლს შესძენს.

მარიამი მორიდებული, წყნარი გოგონაა და მასთან მუშაობა სასიამოვნოა. ორი თვის წინ თავისი ნამუშევრები მოიტანა, რომელიც სრულიად განსხვავებული და ახალია, შეიძლება ანიმაციურ ჟანრს მივაკუთნოთ. ერთი გმირი, უამრავ ნამუშევარში, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათით, ფორმით, მნიშვნელობით. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი გოგონას შინაგანი სამყაროს ხედვაა, რასაც შეიძლება ახსნაც ვერ მოუძებნო.

მითხრა, რომ სახლში თავისთვის ხატავდა მამის ნაჩუქარ ალბომში. გადავწყვიტეთ, რომ ეს გამოფენა მიგვეძღვნა ნიჭერი გოგონებისათვის, რათა ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ნახონ, რომ დამოუკიდებელი მუშაობა სასარგებლო და მნიშვნელოვანია თავიანთ თავში ძალისა და უნარის საპოვნელად.

35 წელია სამხატვრო სკოლის დირექტორი ვარ, აღნიშნა ქალბატონმა თამარმა, ბევრი ძნელი პერიოდი, მძიმე წლები გამოვიარე და გადავლახე მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ყოველთვის მყავდნენ ნიჭიერი მოსწავლეები და მათთან მუშაობა მაძლიერებდა.

ახალი ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენა ისევ მახალისებს და მაბედნიერებს. დღევანდელი დღეც სიახლეებისა და ნიჭიერების კიდევ ერთი გაცხადებაა და ღმერთს ვთხოვ უსასრულოდ ასე გაგრძელდეს.

გამოფენამ დამთვალიერებლების საერთო მოწონება დაიმსახურა, მათ შორის მრავლად იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი განწყობა, შთაბეჭდილება და მილოცვა საჯაროდ აღნიშნეს, იყო ძალიან საგულისხმო შეფასებები, სამადლობელი და სურვილები, როგორც სკოლის მიმართ, ასევე ნამუშევრების ავტორთა მიმართ. მათ შორის იყვნენ: აზა მემანიშვილი, კერძო სკოლა „მზეკაბანის“ ხელმძღვანელი, ფიქრია დემეტრაშვილი, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, თეა რიჟამაძე, თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ხელოვნების პედაგოგი, გურამ თურქაძე, თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, შორენა ბოჭორიშვილი, ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ვალერი კუბლაშვილი, თერჯოლის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლის დირექტორი, ნანა ჭანტურიძე, არნოლდ დოლაკიძე, კერძო სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგები, მამა ანდრია (ყიფიანი) მარიამის მამა, ღვანკითის ტაძრის მოძღვარი, ნინო ჩხიკვაძე, თერჯოლის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამხატვრო სკოლის პედაგოგი, ეკა რიჟამაძე, სამხატვრო სკოლის პედაგოგი, რუსუდან ნიშნიანიძე, საბავშვო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

ბარბარესა და მარიამს გულითადად მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მაღალი შეფასება მისცა მათ პერსონალურ გამოფენას, მათ ზებუნებრივ ნიჭს და შრომისმოყვარეობასაც გაუსვა ხაზი და წარმატებები უსურვა თითოეულს მომავალში. მანამდე კი, მან, თამარობა მიულოცა სკოლის დირექტორს, ქალბატონ თამარს და აღნიშნა, რომ თერჯოლის სამხატვრო სკოლის წარმატებული საქმიანობა, თითოეული მოსწავლის სიყვარული ხელოვნების ამ დარგისადმი და თუნდაც ის ფაქტი, რომ მოსწავლეები აქ სიხარულით მოდიან და სწავლობენ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ეს ყოველივე ამ სკოლის დირექტორისა და პედაგოგების დამსახურებაა.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირმა გამოთქვა მზაობა სამხატვრო სკოლის თანადგომისა და მხარდაჭერისათვის. თუ საჭიროება იქნება, თუნდაც ახალი ჯგუფის შექმნისა და მისი გაფართოებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი ნიჭიერი და დაინტერესებული ახალგაზრდა არ დარჩეს სკოლის მიღმა.

მანუჩარ რობაქიძემ მადლობა გადაუხადა სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, სკოლის თითოეულ გულშემატკივარს, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით თერჯოლის სამხატვრო სკოლა ერთ-ერთი წარმატებულია ქვეყნის მასშტაბით.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

] რეგისტრაციის №53/5/ბ-23

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872